სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080149570854619

№ 4770

06 / დეკემბერი / 2019 წ.

ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2019 წლის 02 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ SMP190004529, SMP190004532 მომართვები, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდული ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გიგლა ბუზარიაშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის თავისუფალი ჭიდაობის წრის ბავშვებისთვის სასტუმრო და სატრანსპორტო მომსახურებების (CPV 55100000 - სასტუმროს მომსახურება; 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები) შესყიდვა, ღირებულებით - 1345 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიმდინარე წლის 25 ნოემბერს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრს“ ეცნობა, რომ 2019 წლის 29 ნოემბრიდან 01 დეკემბრის ჩათვლით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გიგლა ბუზარიაშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქნენ ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის თავისუფალი ჭიდაობის წრის ბავშვები. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელი გახდა სპორტსმენებისთვის სასტუმრო და სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა. 2019 წლის 27 ნოემბერს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრმა“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარადგინა მომართვები SMP190004442, SMP190004444 გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ, მაგრამ ვინაიდან 29 ნოემბერს ვერ ესწრებოდა თანხმობის მიღება და შესყიდვის დაყოვნებით საფრთხე ექმნებოდა მოჭიდავეების ტურნირში მონაწილებას, ზემოაღნიშნული მომართვები გაიხმო ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრმა“ და აუცილებელი გახდა შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო სპორტსმენებისთვის სასტუმრო და სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის თანახმად, მიმდინარე წლის 25 ნოემბერს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრს“ ეცნობა, რომ 2019 წლის 29 ნოემბრიდან 01 დეკემბრის ჩათვლით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გიგლა ბუზარიაშვილის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქნენ ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის თავისუფალი ჭიდაობის წრის ბავშვები. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელი გახდა სპორტსმენებისთვის სასტუმრო და სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა. 2019 წლის 27 ნოემბერს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრმა“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარადგინა მომართვები SMP190004442, SMP190004444 გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ, მაგრამ ვინაიდან 29 ნოემბერს ვერ ესწრებოდა თანხმობის მიღება და შესყიდვის დაყოვნებით საფრთხე ექმნებოდა მოჭიდავეების ტურნირში მონაწილებას, ზემოაღნიშნული მომართვები გაიხმო ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრმა“ და აუცილებელი გახდა შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო სპორტსმენებისთვის სასტუმრო და სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვები.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე